დანართი

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის ანგარიში

ა) ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საანგარიშო პერიოდში დღემდე საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსულია 6 განცხადება, გაცემულია 10 საჯარო ინფორმაცია. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ ფაქტს ადგილი არ ჰქონია. მიმდინარე საჯარო ინფორმაციაში შესწორების შესახებ მოთხოვნის ფაქტი არ დაფიქსირებულა.

ბ) საკრებულოს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სხდომის დახურვის შესახებ არ უმსჯელია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე მუხლის შესაბამისად საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ანა უსტიაშვილი, ელ. ფოსტა: anaustiashvili@yahoo.com

გ) ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებობს შემოსული და გასული კორესპონდენციის მონაცემთა ბაზა; ადამიანური რესურსების მართვის ბაზა, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავება და გაცემა ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში და კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით. პერსონალურ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამდებობის პირებს, რომლებსაც, მათი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, მინიჭებული აქვთ ამგვარი მონაცემების დამუშავებისა და შეგროვების უფლებამოსილება. პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებებით, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს პერსონალურ მონაცემებზე არაუფლებამოსილ პირთა წვდომას.

დ) საკრებულოში საჯარო მოსამსახურეთა მიერ ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევასა და პასუხისმგებელი წევრებისათვის დისციპლინური სახდელების დადების შესახებ ფაქტს ადგილი არ ჰქონია;

ე) საანგარიშო პერიოდში მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ფაქტი **არ** დაფიქსირებულა.